

მერაბ ბერიძის ლექსითის სასიტყვეთი

მოკლე შინაარხი

გამოიცა მერაბ ბერიძის ლექსითის კრებული. წინამდებარე წერილში შევეცადეთ რამდენიმე რაკურსით წარმოგვეჩინა მერაბ ბერიძის პოეზიის სასიტყვეთი. მის ლექსით სივრცეში დაუნჯებულია სრულიად საქართველოს ნაირგვარი გეოგრაფიული სახელები, ზედმიწევნით და მრავალგზის კი – მესხეთის – პოეტის მშობლიური კუთხისა. გვხვდება გამოჩენილ ისტორიულ პირთა, სასულიერო მოღვაწეთა, მწერალთა, ლიტერატურულ პერსონაჟთა სახელები, რომელთაც უხვად აქვთ როგორც ინდივიდუალური კონტაციები, ასევე ხატოვანი წარმოდგენები.

მერაბ ბერიძისეული სიტყვათოხზვა ამ ერთი (პირველი) კრებულის მიხედვითაც კი ძალიან მრავალფეროვანია. ეს პოეტური ენის ის სიტყვებია, რომლებიც არ განეკუთვნება საერთო შალიგერატურო ენას, ხოლო ის კრიტერიუმი, რომლითაც სიტყვა მიეკუთვნება საერთო სალიტერატურო ენას, მარტივია: იგი უნდა დადასტურდეს ქართული ენის ძირითად, ფუნდამენტურ, აკადემიურ ლექსიკონში.

სიტყვის მნიშვნელობის განსხვავებულ ნიუანსთა უსასრულობა, სემანტიკურ სტრუქტურათა გართულება და გაუბრალოება – აი, სიტყვის მრავალწახნაგოვანი არსებობის ზოგიერთი გამოვლენა პოეტურ ტექსტში. ყოველ პოეტს ხომ თავისი პოეტური ლექსიკონი, მეტი სემანტიკური რიგი, სიტყვათა შორის კავშირთა თავისი სამყარო აქვს. შემოქმედის სასიტყვეთი იმითაც არის საყურადღებო, რომ მასში ხშირად შემონახული და გამომზეურებულია ნაკლებად ცნობილი ან უამთა სელის გამო სრულიად მივიწყებული და ზოგჯერ უცნობი ლექსიკური ერთეული, დღეს უკვე იშვიათად ხმარებული.

მერაბ ბერიძე მიმართავს ისეთ სიტყვაწარმოებას, რომლის დროსაც იყენებს თავსართ-ბოლოსართების ჩვეულებრივ ინვენტარს, ლექსიკონებში დადასტურებულ ძირებსა თუ ფუძეებს და მათი შეერთებით იძლევა დერივატს ან კომპოზიტს, რომელიც სავსებით სწორია წარმოების თვალსაზრისით და, ამავდროულად, უჩვეულოა შინაგან კავშირთა მოულოდნელობის

გამო. მისი სიტყვათქმნადობა შემოქმედებითი პროცესის განუ-
ყოფელი ნაწილია და ავლენს ენის შინაგან ბუნებას, მის პო-
ტენციას. სიტყვაწარმოების მოდელთა წარმოდგენა, ფაქტობრი-
ვად, ენის პოტენციურ შესაძლებლობასწარმოაჩენს, რაც ენის
პოეტურ სიტყვაწარმოებით სისტემაში მანიფესტირდება. მერაბ
ბერიძისეული სიტყვათქმნადობა მრავალფეროვანია ამ ერთი
(პირველი) კრებულის მიხედვითაც კი, ხოლო ავტორისეული
ოკაზიონალიზმები უცილოდ ამდიდრებენ ქართული ენას.

Marika Jikia

MERAB BERIDZE'S VERSES' WORD WORLD

Abstract

A collection of Merab Beridze's poems has been published. In the present letter we have tried to present the poetry word world of Merab Beridze from several angles. In his verse space, are treasured various geographical names of all Georgia and – thoroughly and many times – those of Meskheti – the native land of the poet. We can meet there the names of prominent historical figures, clergymen, writers, literary characters, who have in abundance both, individual connotations and pictorial representations.

Merab Beridze's word composing is diverse. These are the words of the poetic language that do not belong to the common literary language, and the criterion by which the word belongs to the common literary language, is simple: it must be evidenced in the main, fundamental, academic dictionary of the Georgian language.

The infinity of different nuances of the meaning of the word, the complication and simplification of the semantic structures – these are some of the manifestations of the multifaceted existence of the word in a poetic text. For, every poet has his own poetic vocabulary, strong semantic sequence, his own universe of connections between words. The Creator's word world also merits attention, for there often is preserved and exposed a lexical unit, sometimes unknown, sometimes – less known or completely forgotten due to the passage of time and rarely used today.

During word production Merab Beridze uses the usual inventory of prefixes and suffixes, roots or stems evidenced in dictionaries, and by combining them gives a derivative or composite that is completely correct

in terms of production and, at the same time, is unusual because of unexpectedness of internal connections. His word production is an integral part of the creative process and reveals the inner nature of the language. The presentation of word-production models, in fact, reveals the potential of a language, manifested in the system of poetic word-production of the language. Merab Beridze's eloquence is diverse even according to this one (first) collection, and the author's occasionalisms undoubtedly enrich the Georgian language.

Key Words: Merab Beridze's verses' word world, onyms, occasionalisms

პოეტურ თხზულებათა ლექსიკას სწავლობენ არამარტო ლიტერატურათმცოდნები, არამედ ენათმეცნიერებიც, რომლებიც იყვალებან ენის დერივაციული საშუალებების შემოქმედებითად გამოყენების უნარს. ავტორისეული სიტყვათქმნადობა შემოქმედებითი პროცესის განუყოფელი ნაწილია და ავლენს ენის შინაგან ბუნებას. სიტყვაწარმოების მოდელთა წარმოდგენა, ფაქტობრივად, წარმოაჩენს ენის პოტენციურ შესაძლებლობას, რაც ენის პოეტურ სიტყვაწარმოებით სისტემაში მანიფესტირდება.

შემოქმედის სასიტყვეთი იმითაც არის საყურადღებო, რომ ხშირად მასში შემონახული და გამომზეურებულია ნაკლებად ცნობილი ან უმთავრეს სვლის გამო სრულიად მივიწყებული და იქნებ ზოგჯერ უცნობი ლექსიიური ერთული, დღეს უკვე იშვიათად ხმარებული. სიტყვის მნიშვნელობის განსხვავებულ ნიუანსთა უსასრულობა, სემანტიკურ სტრუქტურათა გართულება და გაუბრალოება, შინაგან კავშირთა მოულოდნელობა – აი, სიტყვის მრავალწახნაგოვანი არსებობის ზოგიერთი გამოვლენა პოეტურ ტექსტში. 2019 წელს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა ფილოლოგიის მუცნიერებათა დოქტორის, გამოჩენილი ონომასტიკოსის, პროფესორ მერაბ ბერიძის ლექსიბის კრებული სათაურით – „უნდა იფხიზოლო მაშინ, როცა მგლებსაც კი სძინავთ“. წინამდებარე წერილში ჩვენ შევვცდებით, რამდენიმე რაკურსით წარმოგაჩინოთ მერაბ ბერიძის პოეზიის მხოლოდ სასიტყვეთი მისი ლექსიბის იდეურ-მხატვრული ანალიზის გარეშე.

ერთი შეხედვით, საკუთარი სახელი ყველაზე ცხადი გრამატიკული კატეგორიაა. იგი მუდამ მიემართება სივრცისა და დროის ერთ კონკრეტულ ობიექტს – პირს. ყოველი ტიპის სა-

ხელთაგან ადამიანის საკუთარი სახელი ყველაზე უფრო კონკრეტულია და მას ამავე დროს სიგნიფიკაციული შინაარსი არ გააჩნია. საგანთა ერთადერთი დასახელებაა, რომელსაც, თუ მკაცრად ვიმსჯელებთ, მნიშვნელობა არა აქვს, უმუალო ცნებითი მიმართება არ გააჩნია. მკითხველის წარმოსახვასა და განწყობას ხელს უწყობს ლიტერატურული ონიმების არსებობაც. ლიტერატურული ონიმები გამოიყენება ექსპრესიული მიზნებისათვის, ამდიდრებს და სისტემურობას ანიჭებს ნაწარმოებს.

ყოველდღიურ კომუნიკაციაში ვიყენებთ საკუთარ სახელებს, რომელსაც მიეკუთვნება რეალურად არსებული ადამიანის, ქალაქის, მდინარის, მთისა თუ ხელისმიერი ობიექტის სახელი, რომლითაც პოეტები ლიტერატურულ პერსონაჟებს, საგნებსა და სიუჟეტებს ქმნიან, ისინი გარდაიქმნებიან ლიტერატურულ ონიმებად. ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები განსხვავებულ, სპეციფიკურ ხასიათს ატარებს, რომლითაც ავტორის ორიგინალობა და ინდივიდუალიზმი კლინძება და რომლის დანიშნულებაა, შექმნას შესაბამისი განწყობა, რათა ზემოქმედება მოახდინოს მკითხველის ქცევისა თუ განცდის მიმდინარეობაზე. სხვადასხვა ტიპის ლიტერატურული ონიმების მოხსენიებით ხდება აზროვნების ფიქსაცია ერთ კერძო დენოტატზე, გონება ქვეცნობიერად აერთიანებს, მობილიზაციას უკეთებს, ყველა არსებულ ინფორმაციას მოცემულ ობიექტზე. მწერალი ერთი სახელდებით მკითხველის გონებაში მის ირგვლივ არსებული ინფორმაციის ლოკალიზებას ახერხებს. რა ხდება ამ კუთხით მერაბ ბერიძის პოეზიაში?

რა და აქ არის დაუზჯებული ქართულ გეოგრაფიულ ონიმთა ნამდვილი ხაზინა: აღზევანი, აჭარა, აბასთუმანი, აბული, აბულის მთა, ამირანის გორა, ალაგური, არმაზი, არტაანი, არტანულა, ასპინძა, ახალციხე, ბარალეთი, ბუზმარეთი, ბურნაშეთი, გელათი, დამალა, დიდგორი, ერუშეთის მთები, ვანის ქვაბები, ვარძია, ვერე, ზადენგორა, ზანავი, ზარზმა, თბილისი, თმოგვი, ივლიტა, კუმურდო, მესხეთი, ობოლეთის ტყე, ოკამი, ოცხე, ოცხის წყალი, ოცხურა, სათახვის ტბა, სათხე, სამცხე, სარო, საფარა, საქართველო, სადამოს ტბა, სამსარი, საფარა, საფარის მთები, სლესა, ტობა, ფარავნის ტბა, უნაგორა, ფოკა, ქართლი, ქვაბლიანი, ქილდა, დრელი, დრელის მთა, ლრტილა, ფანობილი, ჩორჩანი, წყაროსთავი, ჭაჭარი, ჭოპორტი, ჭულევი, ხანაჯი, ხევგრძელა, ხერთვისი, ხიზაბავრა, ხიზი, ჯავახეთი....

და ასგზის შეგვხვდა, მეტჯერ თუ არა, მტკვართა მტკვარი. უამათოდ ჩვენი ყოფა წარმოუდგენელიაო, - აკი აცხადებს წინათქმაში მერაბ ბერიძე. საკუთარი სახელით, როგორც წესი, იდენტიფიცირდება დასახელებული პირი როგორც შეტყობინების ობიექტი (საგანი) და მაქსიმალურად არის რეალიზებული მისი დეხოგატური შესაძლებლობები. მერაბ ბერიძის ლექსებში გვხვდება გამოჩენილ ისტორიულ პირთა, სასულიერო მოღვაწეთა, მწერალთა, ლეგენდების გმირთა თუ ლიტერატურულ პერსონაჟთა სახელები, რომელთაც უხვად აქვთ როგორც ინდივიდუალური კონოგაციები, ასევე ხატოვანი წარმოდგენები: ადამი, ევა, იოანე, ქრისტე, მუჟამედი, ზადენი, აფროდიტე, აპოლონი, ელია, ამირანი, ბადრი, უსუპი, დავითი, დალი, ნინო, ბაგრატიონი, არსენი, გრიგოლ ხანძთელი, სერაპიონ ზარზელი, ლაშა-გიორგი, იაი, რუსთაველი, ჭაშნაგირი, ფრიდონი, ცოტნე, სააკაძე, ერეკლე, კოხტა, საკოცარი, ილია, გალაპტიონი, შალიკაშვილი, აბაშიძე, ჯულაშვილი, მელანი, იოკიმე ბერიძე, ბექა, გასიკო, ზეიადი, ნათელა, ნათია, სერგო, გიგი, ზურა, გატია, სოსო, ნუგზარი, კიკოლა, სულეიმანა და სხვ. და სხვ.

ონიმთა მიმართ ავტორის არაგულგრილობის საილუსტრაციოდ მოგვაქვს კრებულის პირველივე ლექსი – მაინც ვერა ვთქვი სათქმელი:

გარძიას ვანთე სანთელი,
განის ქვაბებში ვილოცე,
კუმურდოს მადლი ვიწიე,
ვაქე მაცხოვრის სინორჩე.
წყაროსთავს ძალა შევთხოვე,
ფოკას დავკოცნე ნინოს გზა,
საღამოს სამთა ტაძართა
ვუპნიე ველის მიმოზა.
სათხის ტაძარზე ნათალი,
უცხო დამცქერის ლოდები,
ბურნაშეთ-სამსრის სალოცავთ
ახლავთ წინაპართ გოდება.
ლრტილას სანთელმა დამლოცა,
არსენს უგურთხა საფარა,
ლაშა-გიორგი – ბარალეთს
თვით დანთებია ლამპარად,
მაინც ვერა ვთქვი სათქმელი,
ლმერთმა მქნა მიუსაფარად.

მოვერიდები ტერმინი პოეტური სიტყვათობზეის მკაცრ განსაზღვრებას. ეს არის პოეტური ენის ის სიტყვები, რომლებიც არ განეკუთვნება საერთო სალიტერატურო ენას, ხოლო ის კრიტერიუმი, რომლითაც სიტყვა მიეკუთვნება საერთო შალიტერატურო ენას, მარტივია: იგი უნდა დადასტურდეს ქართული ენის ძირითად, ფუნდამენტურ, აკადემიურ ლექსიკონში (ჩვენს სინამდვილეში ეს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონია); ხოლო თუკი ლექსიკურ ერთეულს დიალექტიზმის სურნელი ახლავს, იგი უნდა დაიძებოს ან ალექსანდრე ლლონგის ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში, ან მესხურჯავახური ტექსტების თანხმელებ ლექსიკონებში. ქართულს, ისევე როგორც სხვა ენებს, აქვს საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც წარმოიქმნება ახალი სიტყვები. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი აკისრიათ აფიქსებს. პოეტურ ტექსტში ვლინდება სიტყვის მნიშვნელობის ნიუანსები, რთულდება ან მარტივდება სემანტიკური სტრუქტურები. ყოველ პოეტს ხომ თავისი პოეტური ლექსიკონი, მყარი სემანტიკური რიგი, სიტყვათა შორის კაგშირთა თავისი სამყარო აქვს. ახალი ელფერი სიტყვას შეიძლება შესძინოს ერთმა ნიუანსმაც კი, იქნება ეს მოულოდნელი კონტექსტი, სიტყვის მაწარმოებელი ყალიბის შეცვლა თუ აფიქსის უწვეულო გამოყენება ამა თუ იმ ფუძესთან. რადგან ყველა მაგალითი ამ წიგნიდან არის, გამორებათა თავიდან ასაცილებლად მხოლოდ გვერდს ვუთითებ. ასე, მაგალითად, „ვიშ“ შორისდებული მრავლობითისა და მიცემითი ბრუნვის ნიშნით: „და აღარა აქვს აზრიწუხილს, ვაის და ვიშებს.“ (78).

გაარსებითებულია ზმნიზედა „ზემოთ“:

„რადაც აზრი აქვს ზემოთში დაღლას“ (226).

ასევეა ნაბრუნები ზმნიზედები:

„ამ გაწყვეტილს გუშინს და ხვალეს (56),

„იმე ხვალის ოცნების ტაძრით“ (60).

ლექსემა „არყო“ უპირატესად ნათესაობით ბრუნვაში გვაქვს გათავისებული: არყის ხე, არყის ტოტი, არყის ქერქი. იშვიათად და ისიც საეციფიკურ ტექსტებში „არყო“ უცილოდ სახელობით ბრუნვაში გვხვდება. მერაბ ბერიძესთან კი ამ სიტყვას მოთხოვთ ბრუნვაში გადავაწყდით:

„არყმა უმალ გადაწყველა“(190).

სიტყვაწარმოების მოდელები, ფაქტობრივად, ენის სიტყვაწარმოებითი სისტემა, არის ენის პოტენციური შესაძლებლობა,

როთაც რეალიზდება პოეტური სიტყვათქმნადობა. ოკაზიონა-ლიზმები ვერ შეიქმნება ენის დერივაციული სისტემის უგულებელყოფით.

ნეოლითზმები, რომლებიც გვხვდება მერაბ ბერიძის პოეტურ შემოქმედებაში, ისეთი სიტყვაწარმოებაა, რომლის დროსაც შემოქმედი იყენებს თავსართ-ბოლოსართების ჩვეულებრივ ინვენტარს, ლექსიკონებში დადასტურებულ ძირებსა თუ უშებებს და მათი შეერთებით იძლევა დერივაცის ან კომპოზიტს, რომელიც საქსელით სწორია წარმოების თვალსაზრისით და, ამავდროულად, უწვეულოა შინაგან კავშირთა მოულოდნელობის გამო.

და რაც მთავარია: იგი მერაბ ბერიძის ეულია...

სახელებით დავიწყოთ.

წარმოქმნილი სახელები: სა- -ეთ- თავსართ-ბოლოსართითაა სამუსიკითი (104), სასულეთი (43, 152);

სა- -ე : საძეგლე (87), სანისლე (196);

-ეთ-ბოლოსართითა შაგაულეთი (70);

-ობა-თია წარმოქმნილი უდღეობა (65), სავსემთვარობა (110), ქარობა (154), ბახალობა (215), გულდღრძობა (65);

-ება-თია დაბადლება (155);

-უნა: გოჭუნა (213).

ერთცნებიანი კომპოზიტებია: დიდპაპა (25,74)), ლოდკაცა (28), გულისბული (114, 132), ბლიცბრძოლა (131), უკუპროცესი (207), ცრუმეტყველი (183), ჯაჭვთორანი (166), უქუნ-ბნექლი (219), პატრონსაგინელი (199), იო-წიო (ფიქრი) (145), ძირქუში (168), სტანდარტსახლები (45), ზეჯამბაზობა (20).

ორცნებიანი კომპოზიტებია: ხმალ-კეჭნობა(27), საგზალ-სამზადისი (85), ქენარ-შეთამაშება (132), ტკბილ-მწარე (32).

წინა ვითარების: ნანისლი (205), ნაკარკალი(28), ნაძალდლარი (17), ნაზაფხულ-ნაიმედარი (38) (ქეგლ-შია ნაიმედევი), ნაორგულები (151), ნაგულარი (192), ნაბალდამარი (192), ნაკვალები (193) (ქეგლ-შია ნაკვალევი).

ზედსართავი სახელი: შემოდგომურა (13, 246), მერცხლიბუდური (34), შუაცეცხლური (34), ყვაური (215), ჩრდილმადლიანი (124), გამოგლეჯილუბიანი (154).

ემოციის გასამძაფრებლად ავტორი ხშირად მიმართავს დექსემის გამეორებას მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაგმაში.

მსაზღვრელი ნათესაობით ბრუნვაშია: დილის დილას (190), დღეის დღის (167), დამის დამეა (228), გულის გულს (47).

მსაზღვრელი მრავლობითსა და ნათესაობით ბრუნვაშია: მზეთა მზე (45), ფერთა ფერებს (100), მრავალთა მრავალში (201), გარდთა ვარდი (177), მტკვართა მტკვარი (113);

იგივე – პოსტპოზიციური მსაზღვრელით: ძალი ძალათა (63), მამა მამათა (63).

ასევე ერთი და იმავე ლექსემის შემცველი სინტაგმები, ოდონდ უქონლობის ცირკუმ-ფიქსიანი მსაზღვრელით – უდროო დროს (95), უძილო ძილით (204), უგულო გული (22), უსხეულოთა სხეულით (17).

უქონლობის ცირკუმფიქსიანი საზღვრულით – პურიანი უპურობა (225).

ოკაზიონალური სიტყვა განსხვავდება „უზუალურისაგან, მაგრამ ავლენს ენის დერივაციულ-ექსპრესიულ პოტენციას (ზექალაშვილი, კიქნაძე 2015: 87). როგორც დიალექტებში, ასევე ქართულ სალიტერატურო ენაში ზმნურ ოკაზიონალიზმთა წარმოებას დიდი ტრადიცია აქვს.

მერაბ ბერიძის პოეტურ თხეზულებებში საინტერესო **ზმნური ფორმები** შეგვხვდა: წაუქმუვლა (220), დარდება (14), გაწვინიკდა (65), აროკდნენ (74), გავეშდება (126), ჩამოდედა (132), შევემშვევი (148), იჭყირება (177), მიციო (202), ვეხეტო (175), აქლურიედურნენ (179), მახმია (186), გადმოცხოვრდება (73).

ნასახელარზმნათა სიუხვეცა: წაუქარია (246), დააქვირითა (213) (ქეგლ-ში ეს ზმნა არ არის; არის ამ ზმნის ვნებითი გვარის ნამყო დროის მიმღეობა – დააქვირითებული), მდედრობს (213), გაუჭანგიათ (25), მეგარემოთ (28), ჭინჯაობენ (105), გამონაცრავს (125), დაამისნებს (36), ავილანდები (193), გაიმტკავლებს (100), ვიგაზაფხულებოთ (188), წაუმუხლავთ (106), ჩამოიმუხლა (123), მიქვავილე (144), შემოალისფრდა (104), მიეზამთრა (136), ჩაისადგურა (165), გადავინაზე (220), გამიცისფერა (247).

მოულოდნელი პირის ნიშნებია: წაგრძელდები (222), დამეყვედრება (17), შეგაფეთება (23), გადაგყარო (23), მაციოთ (28), მაკანკალოთ (28), მიმატანო (208), დამყეფა (26).

ზმნები -ობ თემის ნიშნით: მდედრობს (213), წითლობს (246), მწიფობს (23).

თემის ნიშნის ჩანაცვლება: წაგიბილწებს (223), ჩაგეპოცნები (139)

ქცევა: მიმამზერს (70), ვიწიგ (11).

სხვა ზმნისწინის დართვა: შემოვყელავ (193) (ქეგლ-შია შე-
ყელვა), გადახუნდება, გადახუნდა, გადაუხუნდა (209, 178, 248),
ამოილოლნა (38), შემოალისფრდა (104), წაუმუხლავთ (106), ჩა-
მოიმუხლა (123), მომთავაზებენ (153), შემოსძალვია (160), ჩაისა-
დგურა (165), გადავინაზე (220), გადაწყევლა (190).

საწყისი: ამორბედება (37), სიბორგილი (39), არმოსვლა
(200).

მიმღეობა: გადაბუჩქელი (32), დაუქუხარი (37), განუგმირავი
(39), მწოლარ-მდებარე (49), მოხავსული (58), ჩამოსაქცევარი
(67), გამოწურვილი (117) (ქეგლ-შია გამოწურული), აწალგული,
დაწალკული (129), ჩამომლდგვარი (160), ამომბრუნებელი (166),
მოჭოჭმანე (177), გადაწურვილი (200) (ქეგლ-შია გადაწურული),
დამაბრკოლები (167) (ქეგლ-შია დამაბრკოლებელი), მოყელყე-
ლე (217) (ქეგლ-შიამოყელყელებული) და სხვ.

ავტორი ხშირად იყენებს ვნებითი გვარის წარსული დროის
-ნა-პრეფიქსიანი მიმღეობის (შანიძე 1973: 575) ფორმებს: ჩამო-
ნადნობი (160), ოზონნავლაპი ((205) (ქეგლ-შია ნაყლაპავი),
დანახველები (59), ნავსები (193). ნაკვალები (193) (ქეგლ-შია
ნაკვალევი), (მზე) ნაკვები (193).

მიმღეობიანიკომპოზიტები: გზადშემოყრილები (241), ნაცარ-
წასმული (217), სიცარიილე-შეპყრობილი (158), არმთქმელები
(80), ზამთარგავლილი (28) (ქეგლ-შია ზამთარგამოვლილი),
ჭილუვაგშესეული (65), პირმტეხი (69), ფუძემომლილი (73), სათ-
ვალემოგდებული (84), მზენაკვები (193), ხიდწადებული (96),
ტოტგადახლართული (92), ვნებაშეუმშრალი (86), დამენაწვა-
ლები (248), ავადმყოფობაშეყრილი (118), ახლადდაბადებულნი
(213) (ქეგლ-შია ახალდაბადებული), წელაუმართავი (38) (ქეგლ-
შია წელგაუმართავი), გულდაგგალული (209), სამკომპონენ-
ტიანია თავსნაცარდაყრილი (183) (ქეგლ-შია ნაცარდაყრილი), .

ზმნიზედა: შემოდგომისპირ (248), სახიერ (39), ორციხშუა
(41), უმთენაროდ (68), უამთებოდ (70), სისხლდაკრულად (151),
შორისც (166), უმფარველოდ (208).

შერაბ ბერიძე რამდენიმე ლექსს უძღვნის გაზაფხულს,
თუმცა წელიწადის დროებიდან მისთვის დომინანტური მაინც
შემოდგომაა, რომელსაც იგი განსაკუთრებულად წარმოაჩენს.
(იხ. ლექსები: შემოდგომა (182), გვიანი შემოდგომა (95), შემო-
დგომა, ფერები (227), შემოდგომის ფერები (246); ჯერ ხომ არ
ვიციო, შემოდგომის რომ დგას სურნელი (182);

შემოდგომაშ შემომცინა, დამავიწყა გაზაფხული (42);

ვიცი, მოვიწყენ ისევ შემოდგომურა ტყეზე (13);

შემოდგომურა ყვავილებს ხომ ვუმდერ ძველ სიმღერებსა (246);

შემოდგომური გვმოსავს სამოსი (121);

შემოდგომისპირ მოსულნი ხევის ქარს წაუქარია (248);

აქ მწვანე ფერებს შერევია ოვით შემოდგომა (178);

შემოდგომაც თავს იწონებს მხოლოდ მათი წყალობით (138);

შემოდგომას უდროო დროს ყინულეთი მოება (95);

შემოდგომის სურნელება ქონდრის სუნით შემოაქას (94);

ძოწისფერში გადასული შემოდგომა იწვოდა (132);

მიეზამთრა დღე შემოდგომის (134);

შემოდგომის სამი თვე გაზაფხულში შევიდა (213);

ხეს მომწყდარა შემოდგომა, სიყვითლეში ბანაობს (227);

შემოდგომის ნაზი გრძნობით სალაშს ეტყვის სამომავლოს (242);

აი, შემოდგომა ჩემსავით შემოდგა (84).

მერაბ ბერიძის ლექსებს უცილოდ აფერადებენ **ლიალექტური** ფორმები: გადუარა (100), მოველი (223), გადეხლართა (129), გადიტარა (134), გადუწია (134), გადვეშვი (18). ოდოჟდერი (141), ბუტუსარი (222), ნაგუზალი (37, 136), დრამი (175), რამდის (101, 145, 158).

მეგრული უნდა იყოს ოჭვართო (217).

ქრომატიულად ამაღლებულია **არქაული** სიტყვაფორმები, რომლებიც სიძველის კოლორიტს ანიჭებენ სალექსო ქსოვილს: ვვლო (13), რბოდი (241), არს (15), სახიერ (39), რებული (132), მიხარის (183), მოგელამუნგის (73), საწიერ (239).

მის სასიტყვეთში ჩაღრმავებისას გვერდი ვერ ავუარეთ ხა- ბოვანი აზროვნების გამოვლენას ექსპრესიულ სიტყვათშეხა- მებებით:

დღეს სსნილია ლექსებისთვის (242),

გაუმარჯოს გაბზარული იდეების გადარჩენას (242),

მთვარემ ჩამოდედა დრუბლის მკერდი (132),

ქვაზე ხავსი მიყუჟულა (227),

დრო, წამებად ნაჩეხი, საათს გამოქცეული (228),

უჭერების თარეში სახეზეა! (231),

ოზონნაყლაპი ფიჭვები დგანან ტყის თავდავიწყებად (205),

გამომექცევა ფიქრები შენკუნ, მოწყენილ ნისლებს თავს შეაფარებს (248),

გადახუნდება ძველი არაკი (248),

უფლებას მართებს სიჩუმე (152),

მეგონა, ჩამოტყდა ზეციდან მზის კიდე (19),

უნდა იფხიზლო, ირგვლივ როცა მგლებსაც კი სძინავთ(120) (ეს სტრიქონებია გატანილი კრებულის სათაურად (ყდაზე ერთი სიტყვაა გამოცვლილი).... და სხვ.

მერაბ ბერიძის სიტყვათქმნადობა შემოქმედებითი პროცესის განუყოფელი ნაწილია და ავლენს ქართული ენის შინაგან ბუნებას. სიტყვაწარმოების მოდელთა წარმოდგენა, ფაქტობრივად, წარმოაჩენს ენის პოტენციურ შესაძლებლობას, რაც ენის პოეტურ სიტყვაწარმოებით სისტემაში მანიფესტირდება. მერაბ ბერიძისეული სიტყვათქმნადობა მრავალფეროვანია ამ ერთი (პირველი) კრებულის მიხედვითაც კი, ხოლო ავტორისეული ოკაზიონალიზმები უცილოდ ამდიდრებენ ქართულ ენას.

დამოწმებული ლიტერატურა:

მერაბ ბერიძე, 2019 - უნდა იფხიზლო მაშინ, როცა მგლებსაც კი სძინავთ. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ახალციხე, 2019.

ზექალაშვილი, კიკნაძე, 2015 - ზექალაშვილი რ., კიკნაძე ე., ზმნური ნეოლიგიზმები ქართულ პოეტურ დისკურსში. ენათ-მეცნიერების საკითხები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015.

შანიძე, 1973 - აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1973.